მოდული 2: სამეურვეო საბჭოს საქმიანობაში ეფექტური მონაწილეობა

P4E
მშობლები
განათლებისთვის

იმისათვის, რომ სამეურვეო საბჭოს საქმიანობა მხოლოდ ფორმალური არ იყოს და რეალურად მოახდინოს ცვლილებები სკოლაში, მნიშვნელოვანია რამდენიმე ძირითადი პრინციპის დაცვა:

- **აქტიური ჩართულობა:** სამეურვეო საბჭოს წევრებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ყველა შეხვედრაში და აქტიურად ჩაერთონ განხილვებში. მათი წვლილი და იდეები მნიშვნელოვანია სკოლის განვითარებისთვის.

- **კომუნიკაცია:** კარგ კომუნიკაციას გადამწყვეტი როლი აქვს. წევრებმა უნდა შეძლონ მკაფიოდ და ეფექტურად გააცნონ თავიანთი მოსაზრებები და შემოიტანონ საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც მათთვის, ასევე სხვა მშობლებისა და მასწავლებლებისთვის.

- **პასუხისმგებლობა:** სამეურვეო საბჭოს წევრები პასუხიმგებელნი არიან არა მხოლოდ საკუთარი შვილების, არამედ ყველა მოსწავლის კეთილდღეობისთვის. მათი გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს სკოლის ყველა მოსწავლის ინტერესს.

- **ინფორმირებულობა:** სამეურვეო საბჭოს წევრები უნდა ეცადნონ, მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი სკოლის აქტივობების, საქართველოს განათლების სისტემის გარშემო განხორციელებული ცვლილებებისა და მსოფლიოს მასშტაბით განათლების ტრენდების შესახებ. ასევე, მათი მოვალეობაა სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სხვა მშობლების ინფორმირება.

საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ სკოლები, სადაც მშობლები აქტიურად არიან ჩართული სამეურვეო საბჭოებში, უფრო მაღალი ხარისხის განათლებას სთავაზობენ. ეს სკოლები გამოირჩევიან უკეთესი აკადემიური შედეგებით და უფრო პოზიტიური სასწავლო გარემოთი. მშობლების მონაწილეობა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებასაც. მშობლები აკონტროლებენ სკოლის ბიუჯეტს, ნორმებსა და წესებს, რაც სკოლის ადმინისტრაციას აძლევს სტიმულს, იყოს პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე.

იმისათვის, რომ სამეურვეო საბჭოს მუშაობა ეფექტური იყოს, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. მრავალფეროვანი შემადგენლობა: სასურველია, სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები ეკუთვნოდნენ მრავალფეროვან ჯგუფს, იქნება ეს სხვადასხვა სოციალური ფენა, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილება, ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლების წარმომადგენლობა. ეს უზრუნველყოფს საბჭოს სხდომებისას სხვადასხვა თვალსაზრისის გათვალისწინებას.

2. კარგი მმართველობის სტრუქტურა: საბჭოს უნდა ჰყავდეს ძლიერი და კომპეტენტური თავმჯდომარე, რომელიც კარგად წარმართავს სხდომებს და უზრუნველყოფს პროდუქტიულ მუშაობას. საბჭოს წევრებმა უნდა იცოდნენ თავიანთი როლები და პასუხისმგებლობები. სასურველია თითოეულ წევრს განსაზღვრული ამოცანები ჰქონდეს.

3. გამჭვირვალობა: საბჭოს მუშაობა უნდა იყოს გამჭვირვალე. ყველა გადაწყვეტილება და სხდომის პროტოკოლი სხვა მშობლებისა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

4. სტრატეგიული დაგეგმვა და შეფასება: საბჭომ უნდა განსაზღვროს სკოლის გრძელვადიანი მიზნები და სტრატეგიული გეგმები მათი მიღწევისთვის. საკუთარი აქტივობებისა და შედეგების პერიოდულად შეფასება კი მომავალი დაგეგმარების შესაძლებლობას იძლევა.

რაც მთავარია, სკოლის განვითარებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული გარემოს შექმნისთვის თითოეული ადამიანის სურვილი და აქტიურობა აუცილებელი წინაპირობაა. ამ მოდულის ვიდეოში ვისაუბრებთ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებზე და იმ აქტივობებზე, რომლებსაც სკოლის მოსწავლეთა მშობლები ახორციელებენ.

კურსი მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“ USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „მშობელთა ჩართულობა შვილების განათლებაში“ ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.